სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 მარტი, 2026 წ.

ბრძანება №01-10/31

ბსუ-ს **აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის** გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის"** და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2026 წლის 12 მარტის MES 2 26 0000301528 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია **ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან/და მე-4** სასწავლო წლის სტუდენტებს ან **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს** (**შენიშვნა:** საბაკალავრო საფეხურის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები) **შემდეგი მიმართულებებიდან:**
   ა) ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის" და „ეკოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამებიდან;
   ბ) ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „ფიზიკის" საგანმანათლებლო პროგრამიდან;
   გ) ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საგანმანათლებლო პროგრამიდან.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა **2026 წლის 23 მარტიდან 2026 წლის 29 მარტის ჩათვლით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის **(კანცელარია)** ან **ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის** (chancellery@bsu.edu.ge) **მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:**
   ა) განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (შევსებული სტაჟირების გავლის წესის №1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილიც);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და **სასწავლო ბარათი;**
   დ) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4);
   ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).
4. კონკურსის წესით შეირჩეს **3 სტაჟიორი,** რომლებიც ერთი თვის განმავლობაში გაივლიან ანაზღაურების გარეშე სტაჟირებას ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში **(სამუშაო ადგილი:** ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, გრიშაშვილის ქ. №5) სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი), ორ ცვლაში, შემდეგი

განრიგით: პირველ ცვლა (09:00 სთ - 13:00 სთ), ხოლო მეორე ცვლა (14:00სთ - 18:00სთ).

5. სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟიორებმა უნდა შეასრულონ ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის" დებულებითა და პერსონალის სამუშაოთა (ფუნქციათა) აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული დავალების ფარგლებში.

6. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების პერიოდის (ერთი თვე) გასვლის შედეგად, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები,** რომლებიც შესაძლებელია **დასაქმდნენ** არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება). დასაქმებული სტაჟიორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (არაუმეტეს 500 ლარი).

7. სტაჟიორთა შერჩევის მიზნით **შეიქმნას საკონკურსო კომისია,** რომელმაც განსაზღვროს **კონკურსის ჩატარების ვადები** (დოკუმენტაციის გადარჩევა, კონკურსანტებთან გასაუბრება, შედეგების გამოცხადება) და ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

8. განცხადება სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ (წინამდებარე ბრძანების **№1 დანართი) გამოქვეყნდეს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კონკურსების ველში. იმავე ველში თან დაერთოს წინამდებარე ბრძანება, ბსუ-ს სტაჟირების გავლის წესი, სტაჟირების განაცხადის ფორმა და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დამხმარე პერსონალის სამუშაოთა (ფუნქციათა) აღწერილობა.

9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარატმენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

„ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მარტის №01-10/31 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი

1. გამოცხადდა კონკურსი ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია **ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან/და მე-4** სასწავლო წლის სტუდენტებს ან **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს (შენიშვნა:** საბაკალავრო საფეხურის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს 120 კრედიტზე ნაკლები) **შემდეგი მიმართულებებიდან:**
   ა) ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ და „ეკოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამებიდან;
   ბ) ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „ფიზიკის“ საგანმანათლებლო პროგრამიდან;
   გ) ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამიდან.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა **2026 წლის 23 მარტიდან 2026 წლის 29 მარტის ჩათვლით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის **(კანცელარია)** ან **ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის** (chancellery@bsu.edu.ge) **მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:**
   ა) განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (შევსებული სტაჟირების გავლის წესის №1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილიც);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და **სასწავლო ბარათი;**
   დ) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4);
   ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).
4. კონკურსის წესით შეირჩეს **3 სტაჟიორი,** რომლებიც ერთი თვის განმავლობაში გაივლიან ანაზღაურების გარეშე სტაჟირებას ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში **(სამუშაო ადგილი:** ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, გრიშაშვილის ქ. №5) სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი), ორ ცვლაში, შემდეგი განრიგით: პირველ ცვლა (09:00 სთ - 13:00 სთ), ხოლო მეორე ცვლა (14:00სთ - 18:00სთ).
5. სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟიორებმა უნდა შეასრულონ ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის“ დებულებითა და პერსონალის სამუშაოთა (ფუნქციათა) აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული დავალების ფარგლებში.

6. ანაზღაურების გარეშე სტაჟირების პერიოდის (ერთი თვე) გასვლის შედეგად, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე **განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები,** რომლებიც შესაძლებელია **დასაქმდნენ** არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება). დასაქმებული სტაჟიორის ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (არაუმეტეს 500 ლარი).

7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი **საკონკურსო კომისიის მიერ** განისაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები (დოკუმენტაციის გადარჩევა, კონკურსანტებთან გასაუბრება, შედეგების გამოცხადება) და ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

8. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ წინამდებარე **განცხადებას თან ერთვის:**

8.1. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება;

8.2. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესი";

8.3. სტაჟირების განაცხადის ფორმა („ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის" №1 დანართი);

8.4. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დამხმარე პერსონალის სამუშაოთა (ფუნქციათა) აღწერილობა.